



გაზეთი გამოდის  
1930 წლის 5  
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

# მაცნე

## სამბრაღიის

N34 (9249)

11 დეკემბერი, 2017 წელი

ფასი 50 თეთრი

### წმინდა ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები საკათედრო ტაძარში

2



3

ღმის  
წმინდის  
აღსაზრდელები  
ღაღასაჩუქრეს

2

ისევ ჰქრის  
ტატოს მერანი

## გარბარობას გილოცავთ!

უმანგი მახვიანი \_ ისტორიული  
მუდანი ტოტიოდან



10

### გამიხარდება, რაც უფრო მეტად განახლებულსა გნახავ!

სამსახური  
სადის  
მისწავლება  
აღწე  
ახდელიანის  
ბაღაჩაში

4



ღმისით, მზისით მკული უნეჩში

“მზის ჩაქაყნითმა მითუბს უხვევას”

# საქრებულოს მორიგი სლომა გაიგარდა

ლევან გაბაჩავა

ქალბატონებო და ბატონებო, შეძრწუნებული ვართ ამ დღეებში საქართველოში მომხდარი დანაშაულის გამო, რომელსაც მოზარდების სიცოცხლე შეეწირა, გთხოვთ, წუთიერი ღუმილით მივაგოთ პატივი გარდაცვლილი ახალგაზრდების ხსოვნას. ასე დაიწყო საქრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ნუგზარ ჯამბურამ მორიგი სლომა, რომელიც ერთობ დახუნძლული იყო განსახილველი საკითხებით.

აიპ “სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების”, საჭიდაო კლუბ “ფალაგანის”, “ტოლების სამუსიკო სკოლის”, “სახლი თანადგომას”, “საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის” 2017 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ” სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის შესაბამის განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა შალვა არხუმიანიამ მოახსენა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და მერიის სამშატო ნუსხის დამტკიცების, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცებისა და რიგ სხვა საკითხთა ირგვლივ მომხსენებელი საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი მანანა სირბილაძე გახლდათ.

4 დეკემბრის ამ სხდომაზე თვალმისაცემი იყო ერთი გარემოება, კერძოდ, მიუხედავად განსახილველ საკითხთა ირგვლივ წარმოქმნილი აზრთა სხვაობისა, კონსენსუსის მიღწევის სურვილი აშკარა გახლდათ, რაც უდავოდ მისასალმებელია.

საქმიან ვითარებაში მიმდინარე სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული.



## წმინდა ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები საკათედრო ტაძარში

ნინო ნინოთაძე

ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველმა, მალაქოვლადუსამღვდელოესმა, მეუფე საბამ წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში 4 დეკემბერს, ღვთისმშობლის ტაძრად მიეწინააღმდეგებინა დაკრძალვის სახეობის დღესასწაულთან დაკავშირებით, წირვა-ლოცვა აღავლინა. ამასთანავე, ეკლესიაში დაბრძანებულ იქნა ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები. სამტრედიის მრევლს მიეცა საშუალება, მიხლოვებოდა წმინდანებს და მისგან მადლი მიეღო.

ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ინდოეთიდან საქართველოში 23 სექტემბერს 6 თვით ჩამოიტანეს. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში წმინდა ნაწილებს დახვდნენ მრევლი და სასულიერო პირები, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ლოცვა აღავლინა.



თბილისის აეროპორტიდან სიწმინდეები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გადააბრძანეს, შემდეგ – სამებაში, სადაც პარაკლისი ჩატარდა. მოგვიანებით მრევლს რეგიონებშიც მიეცა საშუალება, წმინდა ნაწილებს შეხებოდა.

საქართველოში ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების ტრანსპორტირება, გამოფენების მოწყობა და საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება, საქართველოს საპატრიარქოს ჩათვლით, კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა უზრუნველყვეს.

ისტორიული წყაროების თანახმად, კახეთის დედოფალი ქეთევანი 1614 წელს მეფე თეიმურაზმა შაჰ-აბასის მოთხოვნით მძევლად გაუგზავნა მას უძცროს ვაჟთან, ალექსანდრესთან ერთად. სპარსეთში ქეთევან დედოფალს სარწმუნოების შეცვლა მოსთხოვეს, რაზეც დედოფალმა უარი თქვა. ამტომ ის 1624 წელს ქალაქ შირაზში წამებით მოკლეს. დედოფლის წამების მოწმე პორტუგალიელმა მისიონერებმა ნეშტი მალულად ამოხარეს და ისპაჰანის ავეუსტინელთა მონასტერში გადაასვენეს. მოგვიანებით კი მისიონერებმა ქეთევან დედოფლის სხეულის ნაწილები საქართველოში ჩამოაბრძანეს. ისინი ალავერდის ტაძარში 1723 წლამდე ინახებოდა, შემდგომ კი დაიკარგა.

საქართველოსა და რუსეთის გარდა, ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები წაიღეს გოას წმინდა ავეუსტინეს სახელობის მონასტერში, ასევე ვატუანსა და ბელგიაში. გოაში მდებარე მონასტერი მე-19 საუკუნის დასაწყისში განადგურდა. ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებს სამეცნიერო ექსპედიციები სხვადასხვა დროს ინდოეთში ეძებდნენ.

2013 წელს ჟურნალმა “არქეოლოგია” გაავრცელა კვლევა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ გოაში მდებარე ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი ძვლები, სავარაუდოდ, ქეთევან დედოფალს ეკუთვნოდა. მათი ინფორმაციით, ქვის სარკოფაგში აღმოჩენილი მკვავის ძვლების დნ-ის ანალიზმა აჩვენა, რომ დიდი ალბათობით ძვლებს ინდოეთთან კავშირი არ აქვს და ქართული წარმოშობის იყო.

ორი დღის განმავლობაში სამტრედიის საკათედრო ტაძარში შესულ მრევლს ჰქონდა ბედნიერება, წმინდა ნაწილებს შეხებოდა. 5 დეკემბერს სიწმინდეები ტაძარიდან წმინდა მოწამე ქეთევანის სახელობის “საინოების სახლში” გადააბრძანეს.

## ეხოზბივი ძაცისხმევით

დაინტერესებულ ფერმერებს და არა მარტო მათ, კითხვარები დაურიგდათ. მათი შეკვრების შემთხვევაში ნათელი წარმოდგენა შეიქმნება, თუ რა ვითარებაა რეგიონში თხილის, სიმინდის მოსავლიანობის კუთხით, რა უჭირთ, რა უღბნით, რა სახის დახმარებას საჭიროებს მოსახლეობა.

ფერმერებთან შეხვედრა 4 დეკემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზში გაიმართა.

მართალია, სიხალვათე აშკარად შესამჩნევი გახლდათ, თუმცა სამუშაო ატმოსფერო ნამდვილად იყო.

“კითხვები ამომწურავ პასუხს ვასცემენ, რა ვითარებაა რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის კუთხით, გამოიკვეთება სურათი, სახელმწიფოსთან ერთად, როგორი პროგრამა უნდა შევიმუშაოთ”. – განუცხადა “სამტრედიის მაცნეს” ამერიული ორგანიზაციის მონიტორინგის ჯგუფის სპეციალისტმა გიგი ხიტალიშვილმა.

ნებისმიერი ნაბიჯი, რაც ფერმერთა დახმარებისა და ხალხის კეთილდღეობისაკენ იქნება მიმართული, მისასალმებელია. ასეთი კომენტარი გააკეთა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა მამუკა კვანტალიანმა.

ლევან გაბაჩავა

# ისევ ჰქრის ტატოს მერანი

ლევან გაბაჩავა

თათბებს აღაფრთოვანებს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ცალკეული მარგალიტები. რაოდენ საამაყო და სასიამოვნოა, რომ პოეტის 200 წლის იუბილეს აღნიშნავს საერთაშორისო მასშტაბით ხდება.

მუნიციპალიტეტის მერიის საექტო დარბაზში 5 დეკემბერს ლამაზი ღონისძიება გაიმართა, რომელიც მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

საჯარო სკოლების მოწინავე მოსწავლეებმა: ნანიკო ტორთაძემ, ნიკოლოზ დვალისძემ, ბაია თოდუამ, ვალალო კობალაშვილმა, გიორგი გოგიშვილმა, მარიამ სხილაძემ, (ღონისძიების წამყვანი) თორ შუბლაძემ, მარიამ ფილიშვილმა, თამუნა ჯინჭველეიშვილმა, ერეკლე ხუჭუამ, თემურ ფანცულაიამ შესანიშნავად წაიკითხეს პოეტის შედევრები, ქრონოლოგიური სიზუსტით ისაუბრეს ბარათაშვილის ბიოგრაფიის ცალკეულ დეტალებზე.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ახალგაზრდები კარგად ფლობენ ლექსის კითხვის ტექნიკას, ამიტომაც მრავალჯერ დაიმსახურეს აპლოდისმენტები.

“ლამაზი დღეა, საოცრად დასაფასებელია თქვენი მოღვაწეობა. თქვენი შრომით ძალზე დიდ საქმეს აკეთებთ.” – მიმართა დარბაზში შეკრებილ პედაგოგიურ საზოგადოებას საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურამ, მან ახალგაზრდებს წარმატებები უსურვა და ბარათაშვილის ციტატებით გაჯერებული გამოხვლა საღამოს ორგანიზატორებისადმი მაღლიერების გამოხატვით დაასრულა.



“გარდა იმისა, რომ მსგავსი ღონისძიებები მოსწავლეთა ინტელექტუალურ განვითარებას შეუწყობს ხელს, მისასალმებელია ისიც, რომ საერთაშორისო დონეზე აღინიშნება კიდევ ერთი ქართველი კლასიკოსის იუბილე, კარგი საღამო იყო.” – განუცხადა “სამტრედიის მაცნეს” საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარმა სპეციალისტმა, პედაგოგმა ალექსანდრე თევზაძემ.

“შთაბეჭდილება დადებითია, ღონისძიება კარგი იყო, საჯარო სკოლებშიც უნდა ჩატარდეს ქართველ მწერალთა, ღირსეულ ადამიანთა იუბილევები.” – ასეთი კომენტარი გააკეთა მესამე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ქეთევან რუხაძემ.

“მოუძალდებელი, ბრწყინვალე ღონისძიება იყო, მონაწილეთა უმეტესობა ჩვენი ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველია. მესხიერებაში 50 წლის წინათ რუსთაველის თეატრში დადგმული სპექტაკლი “ნიკოლოზ ბარათაშვილი” ამოტივტივდა, ცნობილი მსახიობისა და უბადლო შემსრულებლის, გიორგი გეგეჭკორის მონაწილეობით. მადლობა მუნიციპალიტეტის მერიას, კულტურის სამსახურს, გურანდა გურგენიძეს. – გვითხრა დეკლამაციის მსახიობმა მზია ჩხელაძემ.

საღამოს ორგანიზატორებს გარჯა შეუქმეს, ახალგაზრდებს წარმატებები უსურვეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ კობა ძიძიგურმა და მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ბეჟან გეგეშიძემ.

ფასიანი საჩუქრები გადასცეს მუნიციპალიტეტის თავკაცებმა ღონისძიების მონაწილე ახალგაზრდებს, რომლებმაც მადლიერება გამოხატეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისადმი.

სტუმრებს მობრძანებისათვის, მერს, მერიასა და მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის სამსახურს, მის უფროსს ნატალია მანჯგალაძეს მადლობა, ამავე სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა განათლების საკითხებში გურანდა გურგენიძემაც გადაუხადა, რომლის უშუალო ძალისხმევითაც მომზადდა ღონისძიება.

ღირსეულად აღინიშნეს ქართველი კლასიკოსის იუბილე სამტრედიის.



# დღის ცენტრის აღსაზრდელები დასაჩუქრეს

ნათია ნახიძე

**დღის ცენტრ "ლაშქარს" დღესდღეობით 15 ბენეფიციარი ჰყავს. 3 დეკემბერი უშუალოდ საერთაშორისო დღეა, ამ თარიღის აღსანიშნავად დღის ცენტრის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, გამგეობის კულტურის სამსახურის, მაგორიტიანი დეპუტატის ბიუროს და "წითელი ჯვრის" საზოგადოების სამტრედიის ფილიალის წარმომადგენლები საჩუქრებით ხელდაამზენებულნი ეწვივნენ.**



უნველობა და ხელშეწყობა არ მოვალდებულებს თანხმობას, როგორ უხარი-ათ პატარებს და კმაყოფილი არიან." მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია: "ყველა პატარა ძალიან კმაყოფილია, ეს ადამიანები საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას და პატივისცემას იმსახურებენ, მათ ჩვენი, ხელისუფლების წარმომადგენელთა ყურადღ-

თი დღე გავუღამაზთ ამ პატარებს, მოუტანეთ ჩვენი ლოგოთი დამზადებული ტორტი, საჭაერო ბურთები, ფანქრები და ფურცლები. თავიანთ ემოციებს პატარები ამ ფურცლებზე გამოიტანონ და გაერთობიან კიდევ, ეს მინანი აქვს ჩვენი მოხალისეების აქ სტუმრობას". ნათია პაპავამ ჩვენთან საუბარში ასევე აღნიშნა, რომ "წითელი ჯვრის" სამტრედიის ორგ-



საუბარში უდიდესი მადლიერება გამოთქვეს დეპუტატ გია მიქელაძის მიმართ, რომელიც თავისი ხელფასის გარკვეულ ნაწილს ამ ცენტრის პედაგოგებს უნაწილებს. ცენტრის მუსიკის პედაგოგის შრომის ანაზღაურების თანხას კი მთლიანად დეპუტატი

ება ყოველთვის უნდა იგრძნონ, ხედავთ, ეს ბავშვები რა კარგად მღერიან და ხატავენ, მათ ჩვენი თანადგომა სჭირდებათ". მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგური: "წელიწადში რამდენჯერმე ვსტუმრობთ ამ სახლს, გვსურს, გავახალისოთ ბავშვები, ისედაც ლაღები არიან, წელიწადში რამდენჯერმე მაინც ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ მათ მიმართ".

მაგორიტიანი დეპუტატის ბიუროს უფროსი, თინა ხარბიანი: "ყოველ წელიწადს არა მარტო შშმ პირთა საერთაშორისო დღეს ვსტუმრობთ "ლაშქარს." არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები, ხედავთ, ეს ბავშვები რა კარგ ნამუშევრებს ამზადებენ, გული მტკივა იმის გამო, რომ აღნიშნულ ცენტრებს არა აქვთ სათანადო დაფინანსება, სამტრედიის მაგორიტიანი დეპუტატი, ბატონი გია თავისი ხელფასიდან უხდის ამ ცენტრის პედაგოგებს თანხას, რადგან მათი ხელფასი მიზეზულია, ისინი კოლოსალურ შრომას სწევენ, ბატონმა გამა დაიწყო და გააგრძელებს მუსიკის პედაგოგის დაფინანსებასაც თავისი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში." უდიდესი მადლიერების ნიშნად აღსაზრდელებმა და პედაგოგებმა დეპუტატს მათივე ხელით შექმნილი, პროექტ "არტთერაპიის" ფარგლებში მომზადებული მიქელაძეთა საგვარეულო გერბი გუგუზავნეს.

"წითელი ჯვრის" სამტრედიის ადგილობრივი ფილიალის წარმომადგენელი, ნათია პაპავა: "ეს მეორე სტუმრობა არის ჩვენი დღის ცენტრ "ლაშქარში", ვცდილობთ, მცირედი შემოწირულობით ერ-

ანიზაციის წევრებმა ირმა შველიძემ და სოფო ლოლობერიძემ ადვოკატირება გაუწიეს შშმ პირს, ირმა ჭანტურიას, მოუპოვეს და საჩუქრად გადასცეს ინვალიდის ეტლი. დღის ცენტრში სტუმრობის შემდეგ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა იქვე ახლომდებარე, ქალაქის პირველ ბაგაბაღში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები დაათვალიერეს.



აფინანსებს. სამტრედიის ახლად არჩეული მერი, ვალერიანე ფოცხვერია მერის ამბლუში პირველად სტუმრობდა დღის ცენტრს. მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა: "მოგესხნებათ, 3 დეკემბერი შშმ პირთა დღეა, გადავწყვიტეთ, საკრებულოსთან ერთად მოვსულიყავით, მოგვეტანა ნობათი, ამ ბავშვებს არამარტო დღეებდღე დღეს, არამედ ყოველთვის სჭირდება თანადგომა, ჩვენ ვცდილობთ, ჩვენი მზრ-

## გაჩვენებენ ბიძაშვიტს!

ქრისტიანი წმინდანის ბარბარეს (ბარბალეს) სახელობის დღესასწაული – ბარბარობა ხალხური წეს-ჩვეულების თანახმად იმართებოდა 4-6 დეკემბერს (ძველი სტილით). ბარბარეს კულტი წარმოიშვა და გავრცელდა აღმოსავლეთის მართლმადიდებელთა შორის. მის სამშობლოდ ასახელებენ ეგვიპტეს (ბაალბექი, ფრიაია).



რაც შეეხება ქართველებს, ბარბარობა ჩვენთვის ერთ-ერთი უძველესი წინასახალწლო დღესასწაულია. ბარბარეს სახით ჩვენში თავიანთს სცემდნენ ამავე სახელწოდების წინაქრისტიანულ მზის ღვთაებას. მორწმუნე ქართველებს წმინდა ბარბარე ქალების, ფურების, საერთოდ, ბუნების ნაყოფიერების, დედური ძალების მფარველ ასტრალურ ქალღმერთად ჰყავდათ წარმოდგენილი. ძველთაგანვე ბარბარობასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რიტუალი, ლოცვა-ვედრება, შესწირავები: რძის ფაფა, ხაჭაპურები (სვანეთში) ლობიოსა და ნიგვზის გულიანი ჯვარდასახული ტაბლები, ე. წ. საბარბარო ტაბლები (ლენჩხუში) და ა. შ. ბარბარობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რიტუალი ძველთაგანვე იყო მეკვლეობა, ბეღობა. ბარბარობას – წმინდა დიდმოწამე ბარბარეს ხსენებას 17 დეკემბერს აღნიშნავენ. შესაბამისი მსახურება წარმოებს ამ დღეს ტაძრებში.


ლევან ბაგინავა



## ჩვენ შიღსს სიყვარულით დაგამარცხებთ!

შიღსთან ბრძოლის მსოფლიო დღე 1988 წლიდან აღინიშნება და შიღსის პანდემიის მიმართ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. ამ დღეს მსოფლიო კიდევ ერთხელ აღუდგება აივ ინფიცირებულთა საზოგადოებრივი გათავისუფლების წინ და ხმაძიებს ამბობს, რომ "შიღსი დიაგნოზი და არა განაჩენი!" სამტრედიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა პარლამენტის შეუერთდა მსოფლიოს სხვადასხვა აქტივობას და მათივე ინიციატივით მოსწავლეთა სახლის წინ სიმბოლური ბანერი დადგეს დაუსრულებელი წარწერით. "შიღსი არ არის..." ბანერთან მდგომი მოსწავლეთა პარლამენტის წევრები გულმოდგინებით უხსნიდნენ ყველა გამგულს 1 დეკემბრის არსს. უმარტადდნენ რისკ ფაქტორებს შიღსთან დაკავშირებით და თავისი წვლილი შექმნიდათ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში. ბოლოს კი, როცა მსმენელი ყველაფერს შეიტყობდა იმის შესახებ, თუ რა არის შიღსი, უნდა დაესრულებინა ფრაზა: "შიღსი არ არის..." მრავალი ინტერპრეტაცია და მრავალი სადი აზრი შემოინახა ამ ერთმა ბანერმა. მაგალითად: "შიღსი არ არის ოზოლაცია, სტიგმა, დასასრული, მიზეზი საზოგადოებიდან გარიყვისა და სხვა." აქცია თავად მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი, ქალბატონი ტატია გოგუაძე და პედაგოგებც შეუერთდნენ. მათ აქცია შემდეგი ფრაზით დაასრულეს: "ჩვენ შიღსს სიყვარულით დაგამარცხებთ!"

ნათია ნახიძე



# მთავარია, არ დავკარგოთ რწმენა

## 6060 ნაწილაკი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს “ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის” “სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის” ფარგლებში სამტრედიის მე-5 საჯარო სკოლაში რამდენიმე წელია, ხორციელდება პროექტი “შეცვალე სამყარო”. ამ პროექტის ფარგლებში სკოლაში რეჟისორ გიგა ქურციკიძის ხელმძღვანელობით განხორციელდა ალექსანდრე კუპრინის მოთხრობის “საოცარი ექიმის” მიხედვით შექმნილი პიესის დადგმა.

თინათინ ტრაპაძე პროექტის კოორდინატორი: “სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამა №15 საჯარო სკოლაში 2012 წლიდან ფუნქციონირებს. პროგრამის სულისჩამდგმელი გახლავთ ქალბატონი ლელა ციციტიშვილი. პროექტის მიზანია №15 სკოლის ბავშვების რესოციალიზაცია საზოგადოებაში, რაც, ვფიქრობთ, ასი პროცენტით გამართლებულია, რაც გამოისატება მათი დამოუკიდებლობით თანატოლებთან და ერთ-ერთი ამის დადასტურებაა სწორედ დღევანდელი სპექტაკლი.”

ბავშვებმა ერთობლივად შეისწავლეს სხვადასხვა კერძის დამზადება, პურ-ფუნთუშეულის ცხობა, ასევე დაამზადეს სურათები დეკუპაჟი მესხურ თემზე და დადგეს მინი სპექტაკლი ა. კუპრინის ნაწარმოების მიხედვით “საოცარი ექიმი”.

პროექტის მიზანია №15 სკოლის ბავშვების რესოციალიზაცია საზოგადოებაში, რაც, ვფიქრობთ, ასი პროცენტით გამართლებულია, რაც გამოისატება მათი დამოუკიდებლობით თანატოლებთან და ერთ-ერთი ამის დადასტურებაა სწორედ დღევანდელი სპექტაკლი.”

სპექტაკლის პრემიერა მე-15 საჯარო სკოლაში 6 დეკემბერს შედგა. სტუმართა შორის იყვნენ მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური, კულტურისა და განათლების სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მიხეილ ლევაია, საკრებულოს წევრი ლიზა კრავიშვილი, რეჟისორი ვეფხია ნადირაძე, პარტნიორი სკოლების დირექტორები და მშობლები.

მერცხლელების ოჯახის სევიდანი ისტორია ერთმოქმედებიან პიესაში ტრაგედია



ოლაში ფუნქციონირებს თეატრალური კლუბი, კულისარიის წრე, ხელგარჯილობისა და მცხოვრებ-კონდიტიერის კლუბები, რომლებშიც მე-15 საჯარო სკოლის აღსაზრდელებთან ერთად მონაწილეობენ პარტნიორი, მე-6 და მე-8 საჯარო სკოლების მოსწავლეები.

ოქტის, “შეცვალე სამყაროს” სლოგანია “მოექეცი მოყვასს ისე, როგორც გინდა მოგექცნენ შენ”.

წელს პროექტის კოორდინატორად მე, თინათინ ტრაპაძე გახლავართ.

მე-15 საჯარო სკოლაში პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს კულისარი-



## სამხატვრო სკოლის ბიზნესკლასები უღელს სპორტის განვითარებაში



## ნათია ნაცვლიძე

სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა 3 დეკემბერს საქართველოს დელეგატურაში მონაწილეობა მიიღეს შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოწოდებულ გამოფენაში “ხელები”, რომელსაც ელენე ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეამ უმასპინძლა. გამოფენაზე სამტრედიის სამხატვრო სკოლის 26-მა მოსწავლემ წარმოადგინა ნამუშევრები სხვადასხვა ჟანრში, განსაკუთრებით მრავლად ჰქონდათ გამოყენებული ხელოვნების ნიმუშები. გამოფენას ესწრებოდნენ კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, ცნობილი მხატვრები, სამტრედიელი ბავშვების ნამუშევრები მოიწონეს როგორც ცნობილმა მხატვრებმა, ისე, ქვეყნის პირველმა ლედიმ, რომელიც ჩვენი ბავშვების

ის სტენდთან შეჩერდა და მათ მიმართ კომპლიმენტები არ დაიშურა. გამოფენის შემდეგ ლამაზი კონცერტიც გაიმართა. შესანიშნავი ქართული სიმღერები შეასრულეს უსინათლო ბავშვთა ანსამბლ “ერის” წევრებმა. გამოფენის მონაწილეებს 2012 წლის პროექტ “ნიჭიერნი” გამარჯვებულმა გორგოლა გოგონამ ჩაუტარა მინაზე ქვიშით ხატვის მასტერკლასი. სამტრედიელ ბავშვებს თან ახლდა მხატვარი აიგო ჩხიკვაძე, რომელიც ასევე არის სამხატვრო სკოლის წამყვანი სპეციალისტი სასწავლო-აღმზრდელობით დარგში.

აიგო ჩხიკვაძე: “შშმ პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით ჩვენი ნორჩი მხატვრები ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში გამოიფინნენ. ძალიან საინტერესო ღონისძიება იყო. უთუოდ დაამასხვრდებათ ჩვენს მოსწავ-

ლებს. მინდა, ბევრი წარმატება უსურვო მათ.” სამტრედიის სამხატვრო სკოლის მოსწავლე სოსო შენგელიამ “სამტრედიის მაცნესთან” საუბარში აღნიშნა: “ჩემთვის ეს პირველი გამოფენა არ ყოფილა, პირველად ვიმყოფებოდი ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში, სადაც წარმოადგინე ნახატი აბსტრაქტულ თემაზე. ჩვენი ნამუშევრები შეაფასეს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან ჩამოსულმა პროფესიონალმა მხატვრებმა და პედაგოგებმა. გამოფენას ბევრი საპატიო სტუმარი დაესწრო, მიხარია, რომ ჩემმა ნახატებმაც დაიმსახურეს მოწონება, პირველ ლედისთან სამსოვერო სურათებიც გადავიღეთ, თითოეული ჩვენგანი დაჯილდოვდით დიპლომებითა და სიგელებით.”



ეკულად წარმოაჩინეს ნორჩმა მხატვრებმა. სილატაკემ მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახის მწარე რეალობა მარადიული თემაა, რომელიც სკოლის სიღრმეში შემოდის და მთელ სხეულს ანგრევს. დარბაზი სწორედ ამ განცდით იჯდა და ელოდა ფინალს, სადაც რაღაც აუცილებლად დადებითსავე უნდა შემობრუნებულიყო. ბევრ თვისტომთაგან განსხვავებით მერცხლელებს უფალი არ სწირავს და მათ, უცნაური ექიმის სახით, მხსნელი მოეცა. კეთილი დასტავარი ფიზიკურ გადარჩენასთან ერთად

სკოლის გააყვებისკენ მოუწოდებს განსაცდელში მყოფ მერცხლელებს. “მთავარია, არ უნდა დავკარგოთ რწმენა” – ეს შეგონება ერთგვარ ლაიტმოტივად გასდევს მონი სპექტაკლს და გვარწმუნებს, რომ სიკეთის კეთებას მაგალითის ძალა აქვს. სპექტაკლის ბოლოს დარბაზს მიმართა მე-15 საჯარო სკოლის დირექტორმა გია მეიშვილმა, შეფასებები გააკეთეს სტუმრებმა და რეჟისორს, გიგა ქურციკიძეს ნამუშევარი მოუწონეს.

## რღისით, მზისით მკერი უნესში

### 6060 ნაწილაკი

მონადირეთა სპეციალურმა ჯგუფმა ორი კვირის წინ სოფელ ეწერში მგელი მოკლა. მტაცებელმა ცხოველმა თემის ტერიტორიაზე რამდენიმე კვიცა დაგლიჯა. ასევე პერიოდულად ივარგებოდა წვრილფეხა პირუტყვი.

მოსახლეობამ მგელი პირველად მათში შენიშნა. ეს უკანასკნელი მამის ადგილობრივებმა სპეციალისტების გარეშე მოიგერიეს. მგელი მას შემდეგ აღარ შენიშნა. მტაცებელი რომ ისევე დაუბრუნდა სოფელს, იქედან გამოიწინა, რამდენიმე ოჯახს გარკვეული ინტერვალით ეკარგებოდა შინაური ფრინველი და ცხოველი.

შილატაკემ ოჯახში,

სავარაუდოდ, მგელმა კვიცი დაგლიჯა. იმ პერიოდში საძოვარზე ღამით დარჩენილი კვიცი მორე დილით პატრონმა, დიმიტრი იევესიმ, ასევე დაგლიჯილი ნახა.

უკვე საუჭო აღარ იყო, შინაურ ცხოველებს ეწრის მოსახლეობას მტაცებელი ცხოველი სტაცებდა, თუმცა, რამდენი შემოესია სოფელს, გაუგებრებელი რჩებოდა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა ეწრის თემში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე დააყენა საკითხი, მიემართათ გარემოს დაცვის სამინისტროსთვის, რათა შექმნილიყო მონადირეთა სპეციალური ჯგუფი, რომელსაც გარკვეული რაოდენობის მგლის და ტურის ბუნებიდან ამოღების უფლება ექნებოდა.

რეგან ივანიძის მოთხოვნას მამინდელი მუნიციპალიტეტის გამგებელი გულისყურით მოეკიდა და სექტემბერში გარემოს დაცვის სამინისტროდან ნებართვა მიიღო. მე-3 თვეა, მონადირეთა ჯგუფი სპეციალურად გაწვრთნილი ძალებით სისტემატურად ატარებდა ძებნის ღონისძიებას. მტაცებელი კი თავისას არ იშლიდა, სოფელს კვლავ ეკარგებოდა ფრინველი და ცხოველი.

ერთ დღესაც ძებნა შედეგადად აღმოჩნდა და მონადირეებმა ეწრის ტერიტორიაზე მგელი გამოიჭირეს. იქვე მოხდა მისი ლეკვიდაცია. ქარსაფარ ზოლთან დილის საათებში მტაცებელი ცხოველი გამოვიდა სანადიროდ, თუმცა მონადირეებმა მას ბოროტ განზრახვაში ხელი შეუშალეს.

როგორც რეგან ივანიძე “სამტრედიის მაცნესთან” გაკეთებულ კომენტარში ამბობს, სოფელი აღარ ზარალდება სავარაუდოდ, იმ მგლის ლეკვიდაციის შემდეგ. რეგან ივანიძე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ეწრის თემში: “მადლობა მინდა, გადაუხადო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას და მერს, ვალერიანე ფოცხვერიას, თანადგომისათვის. ასევე მონადირეთა იმ ჯგუფს, რომელიც დაახლოებით სამი თვის განმავლობაში ატარებდა სამიზნო ღონისძიებას, რომელიც შედეგადად აღმოჩნდა და სოფელმა ცოტათი ამოისუნთქა იმ სამიზნოებისაგან, რაც ყოველდღიურად ჰქონდა. თუმცა დამწვრების უფლება არა გვაქვს, ვინაიდან, არ არის გამორიცხული, რომ კიდევ გამოიწინოს მტაცებელი, რომელიც არა მარტო ცხოველებს, ადამიანებსაც უქმნის საფრთხეს.”

მგლის ლეკვიდაციის შემდეგ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა, სპეციალური ღონისძიებების ჩატარების შემდეგ, დაწვეს მგელი და დამარხულ ადგილზე საღმრთოეკილო სამუშაოები ჩატარეს.





# გამიხარდება, რას უფრო მეტად განახლებულსა გნახავ!

## ლეონა გაბრეხია

განუყოფელი და დაუვიწყარი მოსწავლეობის ათი წელი მაკავშირებს კულაშის მკურნალის სახელობის საშუალო სკოლასთან.

სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული პიროვნება ედვა სათავეში პედაგოგიურ კოლექტივს.

სკოლის დირექტორი, სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, დახვეწილი ინტელიგენტი ბატონი აკაკი ჯამბურია ერთნაირად პატივსაცემი პიროვნება გახლდათ როგორც პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის, ასევე მშობლებისათვის.

სანამოუძღვრებელი სკოლის ეზო, სპორტული მოედანი, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი, მოთხოვნათა დონეზე აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები მოსწავლეთა სრულქმნილ ადამიანებად, ღირსეულ მამულიშვილებად აღზრდას ემსახურებოდა.

სიტყვა (მცნება) “ტოლერანტობა” ესოდენ ხანგასმითი მნიშვნელობით არ იყო მაშინ ლექსიკაში, თუმცა, თავად ტოლერანტი და კაცთმოყვარე დირექტორი იოლად პოულობდა საერთო ენას ებრაველ მოსწავლეებთან, ქართველების მხარდამხარ სკოლაში რომ სწავლობდნენ. ვინ გაბედავდა, გაეხევა ხაზი ეროვნებისათვის, ჩვენ, ქართველები და ებრაელები მეგობრები, ერთი სკოლის მოსწავლეები, ერთი დიდი ოჯახის აღსაზრდელები ვიყავით.

არა მარტო რაიონში, ქვეყნის მასშტაბით იყო სკოლა მოწინავეთა რიგებში.

ძალზე დიდად სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულთა სია. ბევრი მათგანი დღეს ისრაელში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

ჯერ კიდევ ჩემი მოსწავლეობისას “შეგვასხნა თავი” სკოლის ძველმა კორპუსმა, აქაოდა, სარემონტო ვარო, ბევრჯერ შეაკეთეს, თუმცა, მისი ძირფესვიანი განახლება წლების მანძილზე იდ-

გა დღის წესრიგში.

სკოლის კურსდამთავრებულმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა, სამტრედიის მაჟორიტარმა გია მიქელაძემ დიდი წვლილი შეიტანა სკოლის ძველი კორპუსის განახლების სამედიცინო საქმეში.

ქვეყნად, გულწრფელი მიპატიჟების მიუხედავად, ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ღონისძიებას რომ ვერ დავესწარი, თუმცა მივესალმები, მთხარული ვარ და 1980 წელს სკოლის კურსდამთავრებულთა სახელით უღრმეს მადლობას ვუძღვნი ბატონ გია მიქელაძეს, ყველას, ვინც თუნდაც მცირე წვლილი შეიტანა ამ კეთილი საქმის კეთილად დაგვირგვინებაში.

მადლობა სკოლის ადმინისტრაციას, პედაგოგებს, რომლებიც ცდილობენ თაობებს შემოუნახონ ხსოვნა სკოლის დამარცხების კონსტანტინე მკურნალის, ყოფილი დირექტორების: ბესარიონ მიქელაძის, გიორგი ზამთარაძის, გიორგი ნინუას, ვალერიანე თევზაძის, კარლო



ძნელადის, აკაკი ჯამბურიას, მამია სანიკიძის, როზა ნიკოლეიშვილის, სკოლაში სხვადასხვა დროს მოღვაწე ღირსეული პედაგოგებისა.

როგორც უფლის სახლს, ისეთივე კრძალებით ჩაუვლი ხოლმე ჩემს სკოლას, მოსწავლეობის განუყოფელი ხალისიანი წლები, ჩვენზე მზრუნველი პედაგოგები ამოტივტივლებიან გონებაში უმ-

ალ. წარმატებებს ვუსურვებ სამომავლოდ აქ მოღვაწე პედაგოგებს, მოსწავლეებს.

სკოლის განახლებით აღფრთოვანებული წრეები გულით ვაცხადებ:

“ჩემო კვლევებო ისე მიყვარხარო, როგორც მიყვარდი მაშინ”.

## მოსწავლე

# სასკოლო ექსპონენტი ეუხნადი და მისი ავ-ჯახი

განუყოფელი და დაუვიწყარი მოსწავლეობის ათი წელი მაკავშირებს კულაშის მკურნალის სახელობის საშუალო სკოლასთან. სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული პიროვნება ედვა სათავეში პედაგოგიურ კოლექტივს. სკოლის დირექტორი, სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, დახვეწილი ინტელიგენტი ბატონი აკაკი ჯამბურია ერთნაირად პატივსაცემი პიროვნება გახლდათ როგორც პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის, ასევე მშობლებისათვის. სანამოუძღვრებელი სკოლის ეზო, სპორტული მოედანი, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი, მოთხოვნათა დონეზე აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები მოსწავლეთა სრულქმნილ ადამიანებად, ღირსეულ მამულიშვილებად აღზრდას ემსახურებოდა.

და გაამარტივოს. რაზედაც ვეცდები თანმიმდევრულად მოგახსენოთ. იმავე განუყოფელი რწმუნებით, “ელექტრონულ შურნალში” გათვალისწინებულია სპეციალური მოდული მშობლებისათვის, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, რეალურ დროში მიადევნონ თვალი შვილების შეფასებებს და გაკვეთილების გაცდენებს. ჰქონდეთ კომუნიკაცია კლასის დამრიგებელთან და მოსწავლეებთან. ისმის ლოგიკური კითხვა: სურვილის შემთხვევაში, მშობელი ამას, “ელექტრონული შურნალის” გარეშე ხომ კარგად ახერხებდა? რაც შეეხება რეალურ დროს, მასზე წერილის ბოლოს მოგახსენებთ.

წერილის ავტორი უფრო შორს მიდის, როცა დასახელებული შურნალის უპირატესობის დასამტკიცებლად იმასაც ბრძანებს, რომ: “სკოლის დირექტორს ექნება ეჭვი, რომ პედაგოგმა გაკვეთილი გააცდინა. კითხვა: როგორ, აქამდე დირექტორები ვერ ხედებოდნენ მოსწავლეები გაკვეთილს აცდენდა თუ არა? მისასაღამებელია, რომ “სისტემა ავტომატურად განსაზღვრავს ექსტრენად გამოცდების ჩაბარების საჭიროებას საბაზო საფეხურების იმ მოსწავლე-თათვის, რომლებმაც წლის მანძილზე გააცდინეს კონკრეტული საგნისათვის განსაზღვრული საათების 30%. აქაც ჩნდება ერთი, მეტად დამაფიქრებელი კითხვა: რა ვუყოთ იმ მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებს, მთელი წლის მანძილზე სკოლაში საერთოდ რომ არ დადიოდნენ და უმადლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად მომზადებას კერძო პრაქტიკის მქონე მოსწავლეებთან არჩევდნენ. გამოდის, რომ თუ შურნალი თავის ფუნქციას ჯერონად შეასრულებას, სკოლების კურსდამთავრებულთა 80% (თუ არა მეტი. – ბ.ფ.) ექსტრენად სკოლის დამამთავრებელთა სიაში მოხვდება.

საჯარო სკოლებში “ელექტრონ-

ული შურნალის” შემოღებით, არსებულთან მის უპირატესობაზე მოსაზრებათა გასამყარებლად, წერილის ავტორი საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული, ქუთაისის № 36 საჯარო სკოლის დირექტორს, ბატონი თენგიზ თაბუკაშვილისა და სკოლაში უშუალოდ ამ საქმის კურატორის, მისი მოადგილის, ქალბატონი ლელა გრძელიშვილის მოსაზრებებსაც გვთავაზობს, რომლებიც, აქაოდა, სკოლებში სიახლეთა დანერგვისადმი უარყოფითი დამოკიდებულება არ დაგვწამონო, საერთო, დადებით შეფასებათა პარალელურად, მოკრძალებით იმაზეც მიანიშნებდნენ, რომ “რადგან ყველა საკლასო ოთახში არა აქვთ კომპიუტერი და ინტერნეტი, შესაბამისად გაკვეთილზე “ელექტრონული შურნალისადმი” წვდომას ვერ ახერხებენ და პარალელურად ჩანაწერებს ცალკე “ბლოგ-ნოტში” აკეთებენ, ან უხდებთ საკლასო შურნალის არსებული წესით გამოგონება”. აუი, წერილის სათაურით, საქმე მოსწავლეების შრომის გამარტივებასთან უნდა გვექონოდა... სამწუხაროა, რომ ქალბატონი ლელა ყველაფერს ამას “მცირე სირთულედ მოიხსენიებს”.

უფრო მეტიც: თუ დარწმუნდებიან, რომ ე. წ. “ელექტრონულმა შურნალმა” მოსწავლის ცოდნის შესაბამისი ნიშანი ვერ დასვა, ამ შემთხვევაში “ცდილობენ მისცენ განმავითარებელი შეფასება, რომ საბოლოო შეფასება აიწიოს” (!) ჩემთვის, როგორც საკითხით დაინტერესებული პიროვნებისათვის, გაუგებარია, რას ნიშნავს “განმავითარებელი შეფასება” და თუ ასეთი აუცილებლობაა, იგი ხომ მოსწავლეებზე უნდა გააკეთოს? სადაა აქ “გზა მოსწავლეებელთა შრომის გამარტივებისაკენ”?

ბატონ თენგიზს იმის შიშიც აქვს, რომ საკლასო ოთახების კომპიუტერული სისტემით აღჭურვის შემთხვევაში გამორიცხული არ იქნე-

ბა მისი მოპარვის ფაქტები. სკოლას კი დაცვის პოლიციის ასაყვანად საშუალება არა აქვს დამატებითი ხარჯები გაიღოს.

ფაქტია, რომ მოსწავლეთა ცოდნის დონის შეფასებისას მოსწავლეების ფუნქციას ვერავითარი “ელექტრონული შურნალი” ვერ შეცვლის და მისი “გაჭვდილი ხატის” – მოსწავლის ცოდნისა და შესაძლებლობების შესახებ მასზე უკეთ არა-ვინ იცის.

და ბოლოს: სკოლებში ე. წ. “ელექტრონული შურნალის” შემოღების შემთხვევაში ჩვენს უღარიბეს ქვეყანაში გამოიძებნება კი ფინანსები სკოლებში ამისათვის განკუთვნილი, სპეციალური ლაბორატორიების მოსაწყობად, საკლასო ოთახების კომპიუტერული სისტემით უზრუნველსაყოფად? ანდა, დღეს როცა ქვეყანაში რომლის ოჯახების 70% სიდარბის ზღვარზეა, მშობლებისათვის რამდენად შესაძლებელი იქნება, ამ ფუფუნებით ისარგებლოს და ზემოთ ნახსენებ “რეალურ დროს” სკოლებში შვილების საქმიანობა გააკონტროლოს. საერთოდ ისმის კითხვა: მოსწავლეები, როგორც სასკოლო პროცესის სულიწამდგმელი და შემოქმედი, რატომ უნდა გადავიწიოთ მთელი რიგში და მხოლოდ სტატისტიკოსის ფუნქცია დავაკისროთ. რატომ ვართმევთ უფლებას, თავად ხარობდეს და ტკბებოდეს მის მიერ დარგულ-დათესილის ნაყოფით.

აქვე მინდა ერთ საკითხსაც შევხებო. პირადად მე, სრულიად შეუსაბამოდ და მიუღებლად მიმაჩნია განათლების სისტემაში ბოლო დროს დანერგილი ისეთი სიტყვებისა და გამონათქვამების შემოღება როგორცაა: კალკულაცია, მოდელი, “მატერიალური შურნალი” (ნაცვლად წლების მანძილზე დამკვიდრებული “სასკოლო შურნალისა”) ყოველი შემთხვევისათვის, “შავანთა შენიშვნებისაგან თავის დაღწევის მიზნით, ქა-

რთულ და უცხო ენათა ლექსიკონს დავესესხე, სადაც თითოეული მათგანი ასე იშოფრება:

კალკულაცია: – თვითღირებულების აღრიცხვა – ათვლა – გაანგარიშება.

მოდელი: გაზომვა – გაანგარიშება, მოცემული არქიტექტურული ნაგებობებისათვის.

მატერიალური: ასახავს ნივთიერს, სულიერს, ფიზიკურს, ხორცშესხმულს, ქონებრივ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ფაქტია, რომ უცხოური წარმომავლობის მიუხედავად, რასაც ქართველები ბოლო დროს აგრე რიგად ვითავაზებთ, ვერც ერთი მათგანი “ტექნიკური შურნალის”, ყოფილ საკლასო შურნალთან მიმართებაში უპირატესობის დასამტკიცებლად ვერ გამოდგება.

და... აქაც ისევ კითხვა:

რატომ ვამბობთ წინადადებებს უცხოური, საკითხის არსთან მიუსადაგებელი, სიტყვებით, როცა ქართულ სიტყვათა ლექსიკონში პირდაპირაა მითითებული მათი შესატყვისი სიტყვები: აღრიცხვა, ათვლა, გაზომვა, განგარიშება, ხედა, თანაზომიერების დაცვა და სხვა. ისიც, რომ რაიონებში ტრადიციული განათლების განყოფილებებს “რესურსცენტრები” დავარქვით და უფლებებიც მაქსიმალურად შევუკვეცეთ. აქაც მინდა უცხო ენათა განმარტებით ლექსიკონს დავესესხო, სადაც რესურსი ასეა განმარტებული: “ფრანგული სიტყვაა და ივითხება, რისიმე მარაგი, როგორც ფულადი სახსრები, შემოსავლის წყარო, შესაძლებლობა, ეკონომიური რესურსი თუ ვინმე შემომდგავება და მეტყვის, რომ ამ შემთხვევაში განათლების რესურსები. იგულისხმება, მაშინ ხომ არ აჯობებდა, განათლების სამინისტროს რესურსცენტრის სამინისტრო ვუწოდოთ. თუმცა ყოფილი მინისტრის ხელში არც ეს იყო გამოიცხული.











### უშანგი მახვიანი – ისტორიული მედალი სპორტისთვის

პირველიდან დაიწყო და სამი დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდა იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში საერთაშორისო ტურნირი "ტოკიოს გრანდსლევი – 2017", რომელიც ტრადიციულია და ეძღვნება ძიუდოს ფუძემდებელ ძიუდო კანოს მემორიალს. მასში მსოფლიოს საუკეთესო ტიტულოვანი მოჭიდ-ავეები ღებულობდნენ მონაწილეობას.

იაპონიის ძიუდოს ფედერაციის მოწვევით "ტოკიოს გრანდსლევი – 2017"-ში საქართველოდან სამი ძიუდოსტი ასპარეზობდა: 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვაჟა მარგველაშვილი, რომელიც 2017 წლის მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორია. ასევე 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში – ვარლამ ლიპარტელიანი, საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი, 2017 წლის მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი. მესამე – ჩვენი სამტრედიელი უშანგი მარგვიანი, 2017 წლის მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი.

ტოკიოს ტატიამი მხოლოდ უშანგი მარგვიანისთვის აღმოჩნდა იდობიანი. მან ზედმეტად 5 შეხვედრა ჩაატარა. აქედან 4-ში დამაჯერებლად გაიმარჯვა. აღსანიშნავია ისიც, რომ უშანგი ჩეხ ძიუდოსტთან დამარცხდა და ასპარეზობა რეპეშანში, დამამშვიდებელ ჯგუფში გააგრძელა.

ფინალურ ბლოკში უშანგი მარგვიანი ბრანზილიელ ძიუდოსტს უპირისპირდება. სამტრედიელმა ფალავანმა გასაოცარი წარმატება მიაღწია, მან ბოლო წამამდე წაგებული შეხვედრა გამარჯვებისაკენ შემოაბრუნა. წარმოდგენილი სიმამაცის ხარჯზე უშანგი ახერხებს მეტოქის პირიქით შებოჭვაზე დაჭერას და გამარჯვებით აგვირგვინებს ფინალს, რაც მისი ტოკიოს გრანდსლევის მესამე პრიზიორობის წინაპირობა ხდება. ამ გამარჯვებით მარგვიანმა 500 სარეიტინგო ქულა მიითვალა სპორტულ ყულაბაში და მსოფლიო რეიტინგში მე-5 ადგილი დაისაყურა. რაც შეეხება საქართველოს – უშანგი მარგვიანი ტოკიოს გამარჯვების შემდეგ 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში უდავო ლიდერი ხდება.

"სამტრედიის მაცნეს" ამ ინფორმაციით დაუკავშირდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭიბლაძე ძიუდოში ავთანდილ თარგამაძე. უშანგი მარგვიანის მწვრთნელი აფასებს მარგვიანის 2017 წლის ტრიუმფალურ სვლას ევროპისა და მსოფლიოს ტატიამებზე: "უშანგი მარგვიანი 2017 წლის ევროპის ჩემპიონია "გუნდური პრინციპით", სადაც მას სასახელო გამარჯვებები მოაქვს საქართველოსთვის. ამას ემატება ბუდაპეშტში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი. მან აღფრთოვანებაში მოიყვანა ძიუდოს ყველა სპეციალისტი და მე-3 ადგილი მიაღწია. ესარგებლობ შემთხვევით და ამ გამარჯვებას, პირველ რიგში, ვულოცავ უშანგი მარგვიანს ოჯახს, მშობლებს, მეგობრებს და ლელა მარგვიანებს, დას, ანა მარგვიანს, მეუღლეს, ქრისტიანს თეზაძეს.

ტოკიოს გრანდსლევის გამარჯვებამ უშანგი მარგვიანს კიდევ ერთი სიურპრიზი მოუტანა: საერთაშორისო ძიუდოს ფედერაციამ უშანგი მარგვიანს ძიუდოს განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მე-3 დანის წოდება მიანიჭა. რაც შეეხება უშანგის მომავალ სამოქმედო გეგმას, იგი ამ ეტაპზე იბრძვის, რათა მსოფლიო რეიტინგის პირველი ნომერი გახდეს. უშანგი ინტენსიურად ემზადება ჩელაბინსკის მასტერისათვის. ვიტოვებ იმედს, რომ ჩვენი ფალავანი კვლავაც გაგვახარებს მიღებული წარმატებებით. აგრეთვე მადლობა მინდა, გადავუხადო მწვრთნელებს, ბესარიონ შვანგირაძეს და ბადრი შენგელიას გაწეული ღვაწლისათვის."

6067 ნახტავი



## "სამტრედიელთა" პირიპი წარმატება

ჩატარდა 2002-2003 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შეჯიბრი, საქართველოს პირველობა ფეხბურთში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა 7 გუნდი. ზესტაფონის "მარგვეთი", ბათუმის "დინამო", ზუგდიდის "დინამო", ლანჩხუთის "გურია", წყალტუბოს "სამგურალი", ტყიბულის "მეშახტე" და სამტრედიის "სამტრედია". შეჯიბრი ორ წრედ ჩატარდა – შინ და გასვლითი. სულ გაიმართა 12 თამაში. ამ თამაშებიდან სამტრედიის გუნდმა მოიგო 11 თამაში და მხოლოდ ერთი დათმო ბათუმის "დინამოსთან". ჩვენი გუნდი მოამზადეს მწვრთნელებმა ეგვიპტი დოლიძემ და კობა მიქაძემ. სამტრედიის მაცნემ აღნიშნულ საკითხზე კომენტარი სთხოვა სამტრედიის "სამტრედიას" მწვრთნელს, ეგვიპტი დოლიძეს: " 12 დან 11 თამაში მოვიგეთ და დავაგროვეთ 33 ქულა, სხვაობაა 43:11. გუნდმა 1 ადგილი დაიკავა, ჩვენი გუნდის ყველა მოთამაშემ მართლაც დიდი თავდადება და შემართება გამოავლინა, ეს ბავშვები მარტში უკვე სხვა ასაკობრივ კატეგორიაში იასპარეზებენ.

6068 ნახტავი



## ქსოვის ისტორიიდან...

ზუსტად დადგენილი არ არის, როდის დაიწყო ადამიანმა პირველად ქსოვა, თუმცა კი ცნობილია, რომ დღემდე აღმოჩენილი ყველაზე ძველი ნაქსოვი ნიმუშს ახ. წ. აღ-ით III-IV საუკუნეებში დაბადებული ბავშვის წინდები წარმოადგენს, რომელიც არქეოლოგებმა ერთ-ერთი კოპტური საფლავის გახსნისას აღმოაჩინეს. მკვლევარები ირწმუნებიან, რომ ქსოვა


ევროპაში ძველი ეგვიპტელებისა და ეთიოპიელი კოპტების მიერ იქნა გავრცელებული. საინტერესოა ის გარემოება, რომ თავდაპირველად შუა საუკუნეების რიგ ევროპულ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე, ქსოვა მხოლოდ მამაკაცების პრივილეგია გახლდათ. იმ შემთხვევაში, თუ ინგლისსა და შოტლანდიაში საფეიქრო საწარმოს ხელმძღვანელი სამუშაოდ ქალს აიყვანდა და ამ ფაქტს "მსოფელითა გილიდა" შეიტყობდა, მანუფაქტურის ხელმძღვანელი სოლიდური თანხით ჯარიმდებოდა. სხვათა შორის, შუა საუკუნეებში მოქმედ საფეიქრო საწარმოებს იმ პერიოდში საუმალო დიდი შემოსავლები გაჩნდათ ისეთი ცივი და არამდგრადი კლიმატის მქონე რეგიონებში, როგორც დიდი ბრიტანეთი იყო. განსხვავებით თბილი და ზომიერი კლიმატის მქონე ესპანეთისა და იტალიისაგან. შემდგომში ქსოვა სამეფო დინასტიის წარმომადგენელთა და დიდებულთა პრივილეგიურულ საქმიანობად იქცა. პირველი საქსოვი დანადგარი XVI საუკუნის ბოლოს შექმნა ინგლისელმა სასულიერო პირმა და გამომგონებელმა უილიამ ლიმ (1563-1614 წლები), თუმცა მისი ინოვაციური პროდუქტი ინგლისისა და ირლანდიის დედოფალმა – ელისაბედ I-მა სათანადოდ არ შეაფასა. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ უილიამი სამშობლოდან საფრანგეთში გადაიხვეწა და ქალაქ რუანში დააარსა ტრიკოტაჟის მწარმოებელი საწარმო.



### ელგარ ალან პო

ელგარ ალან პოს ერთ-ერთ მოთხრობაში აღწერილია საზღვაო ხომალდის დაღუპვა, რა დროსაც ოთხი ადამიანი გადარჩება ცოცხალი. ისინი დიდხანს დაცურავდნენ ოკეანეში უჭმელ-უსმელები და საბოლოოდ, შიმშილისაგან გონგადასულებმა ყველაზე ახალგაზრდა თანამგზავრი, რიჩარდ პარკერი შეჭამეს...

მოთხრობის გამოქვეყნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ლია ზღვაში იპოვეს ნავი, რომელშიც სამი მგზავრი იჯდა. ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებიც ხომალდის კატასტროფას გადარჩენდნენ. გამოირკვა, რომ თავდაპირველად ოთხნი ყოფილან, მაგრამ ხანგრძლივი შიმშილისაგან ჭკუადაყარვულებს მეთიხე შეეჭამათ, რომელსაც სახელად რიჩარდ პარკერი ერქვა.



### პერცოვ ფრანც ფერდინანდის

### ამანანა

### ბრავლისმეცხველი ნომრები

პირველი მსოფლიო ომის დაწყების მიზეზი ავსტრიის პერცოვ ფრანც ფერდინანდის მკვლელობა იყო. მას მამინ ესროლეს, როცა ის საკუთარ მანქანაში იჯდა, რომლის ნომერიც იყო A III 1118. ეს ციფრები ბევრად მრავალსმეტყველი აღმოჩნდა, ვიდრე უბრალოდ ავტომობილის ნომერი. სწორედ ამ დროს, 1918 წლის მეთერთმეტე თვეში დასრულდა პირველი მსოფლიო ომი.



### საგაღისწერო ძალი

თუ ვაიოლეტ ჯესაპს გემბანზე დაინახავდით, სჯობდა, ხომალდი სასწრაფოდ დაგეტოვებინათ. ეს ქალი უბედურების მთარული მაწმელებელი იყო. ვაიოლეთი მსახურობდა "ოლიმპიის" კლასის ყველა იმ საზღვაო ხომალდზე, რომლებიც დაიდუქვნენ. ესენია: "ოლიმპიი" – რომელიც კრეისერ "პოკს" შეეჯახა, "ტიტანიკი" – რომელიც აისბერგმა გახვრიტა და "ბრეტანიკი" – რომელიც ნაღზე აფეთქდა.



# სამტრედიის გიგა ღუნდუა უკანასკნელ გზაზე გაასილეს



თეატრალურმა საზოგადოებამ ამ დღეებში უდიდესი დანაკლისი განიცადა. თბილისში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაიღუპა მსახიობი გიგა (გიორგი) ღუნდუა. გიგა ღუნდუა სამტრედიის დაბადა და გაიზარდა. როგორც მომავალმა მსახიობმა თეატრალურ სტუდიაში რეჟისორ ვეფხია ნადირაძის ხელმძღვანელობით აიღვა ფეხი.

სამტრედიელ მსახიობებს ბევრი რამ აქვთ მოსაგონარი ნიჭიერი უმცროს კოლეგაზე, რომელთანაც სცენაზე ერთად დგომის ბედნიერება აქვთ განცდილი.

ლორთქია ჯორჯიკია, რეჟისორი: “ამ ამბავმა თავზარი დაგვცა. დაგვარგეთ ახლობელი ადამიანი და უნიჭიერესი მსახიობი. ჩვენს სცენაზე, ვეფხია ნადირაძის ხელმძღვანელობით, ბევრი როლი აქვს ნათამაშევი. გიგა ღუნდუამ ავტორიტეტი დიდ სცენაზეც მოაპოვა”.

ვეფხია ნადირაძე, რეჟისორი: “შეილივით ნაზარდი ვაჟაკი დამედუპა: პერსპექტიული და ნიჭიერი მსახიობი, რომელსაც, ალბათ, ვერასოდეს დავივიწყებ. ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ გიგა ღუნდუას სახით უდიდესი დანაკლისი განიცადა”.

როლენ გოგოშვილი, მსახიობი: “გიგასთან ერთად რამდენიმე სექტაულში მაქვს ნათამაშევი. ის საოცრად კომფორტული პარტნიორი იყო სცენაზე, მისი როლები დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ტოვებდა მაყურებელზე. გიგა ღუნდუა მოურჩენელი ტკივილი იქნება სამტრედიელი თეატრალისთვის”.

1-ლ დეკემბერს სამტრედიის თეატრში უკანასკნელი შეხვედრა შედგა ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობთან. მასთან გამოსამშვიდობებლად საზოგადოების ერთი ნაწილი მოვიდა. გოგი ქავთარაძე გიგა ღუნდუას 16 წლის ასაკიდან იცნობს, რომელიც მოგვიანებით ცნობილი ქართველი რეჟისორის ოჯახის წევრი ხდება. გოგი ქავთარაძემ სამტრედიის გიგასთან გამოსამშვიდობებლად მოსულ საზოგადოებას უდიდესი მადლობა გადაუხადა.

სამგლოვიარო პროცესიაზე გაიფლერა, რომ სულ მალე თეატრალურ სტუდიას, სადაც გიგამ ფეხი აიღვა, მისი სახელი მიენიჭება.

გიგა ღუნდუა, შაბათს, 2 დეკემბერს თბილისში დაკრძალეს... ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის წინ შეკრებილებმა წუთიერი დუმილითა და მხურვალე ტაძით უკანასკნელ გზაზე გააცილეს ხელოვანი.

ნინო ნანიტაშვილი

# ის ყოველი იყო...

## ლევან გაგინაძე

**მიგდე ყური, ამ სიტყვებით იწყებოდა თითქმის 20 წელი ჩვენი ყოველი შეხვედრა, მიგდე ყური და მამაშვილურ დარიგებას მოჰყვებოდა. ბიჭო, ზამთარი იმიტომია, რომ თავზე ქუდი უნდა დაიხურო, გაცივდები, გაცივდები.**

**გადაპრეგ შენ, სათით რატომ არ გეყვითა?**

...  
**ახლა სამსახური, როდელი ვითარებისას არა მარტო მე ჩემზე ბევრად უფროს კოლეგებსაც თვალი ანზორ “მეტროფინისაყენ” გაგვირბოდა, ისიც ყოველივეს ექვემდებარება არგუმენტებით, დაუზარებლად, დაუმადლებლად აძლევდა საჭირო რჩევა-დარიგებას ყველას.**

არაა ძნელი მისახვედრი, ყველაფერს მისი აკადემიური განათლება, დიდი ინტელექტი და ერუდიცია რომ განაპირობებდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებით კურსდამთავრებულმა მუშაობა ქუთაისის საქალაქო გაზეთში დაიწყო. ხშირად იგონებდა სიჭარბეში, თუ რა სიხარულით წაივდა პირველი სარედაქციო დავალების შესასრულებლად პატრიოტისა და ყუმიისთავში კოლმეურნეებთან შეხვედრაზე.

წლების მანძილზე პასუხსაგები თანამდებობები ეკავა ბატონ ანზორ გრიგოლიას რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში.

“სამტრედიის მაცნეს” თითქმის 90-წლიან ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა ბატონი ანზორის რედაქტორობის პერიოდი.

სიცოცხლის ბოლო დღეებამდე უახლოესი მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის სახელოვან წარმომადგენლებთან, ცნობილ საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეებთან, რაღა თქმა უნდა, მის თანაკურსელებთან: რეზო ინანიშვილთან, ნანული ბარათაშვილთან, გურამ გომართელთან, ოთარ ჭილაძესთან და სხვებთან.

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს შურნალისტთა კავშირის წევრი, სამტრედიის სინამდვილეში პირველი დაბლომირებული შურნალისტი, ერთ-ერთი პირველი იყო მათ შორის, დამოუკიდებელი საქართველოს პრესტიჟული ჯილდოთი, ღირსების ორდენით რომ დაჯილდოვ-

და. საოცრად გაიზარა დიდი ნდობისათვის, გავიზარეთ ჩვენც, მისმა კოლეგებმა.

ოდენ შურნალისტი არ გახლდათ ბატონი ანზორი. მისი თეატრალური რეცენზიები, ხშირად იბეჭდებოდა არა მარტო რაიონულ გაზეთში, არამედ შურნალში “თეატრი და ცხოვრება”.

მასსოვს ერთხელ, საქართველოს შურნალისტთა კავშირმა კონკურ-

რილებში თავიარეულს იშვიათად ნახავდა ვინმე მოცლილს, საოცარი სიზუსტით აწარმოებდა პირად შეურნალს, შემოსული წერილები, დასაბუქდად გადაცემისა და დაბეჭდვის დრო, დაბეჭდვაზე უარის მოტივი, მიზეზი იყო შიგ ალნიშნული, რაც არა მარტო მას, სხვებსაც გვაიღვილებდა მუშაობას.

ბოლოს ხშირად აკადემიფობდა, თუმცა მის ძირითად საქმიანობაზე ეს არანაირ გავლენას არ ახდენდა.

2004 წლის მაისი.

ელვის სისწრაფით გავრცელდა სამტრედიის ბატონი ანზორ გრიგოლიას უეცარი გარდაცვალების სამწუხარო ამბავი.

შეიქმნა სამთავრობო დამკრძალავი კომისია, რომლის გადაწყვეტილებითაც ლეკლემოსილი პიროვნება კულტურის სახლიდან გამოასვენეს და რაიონის ღირსეულ შვილთა პანთეონში დაკრძალეს.

40 დღე ყვაილები ეწყო ბატონი ანზორის მაგიდაზე მის სურათთან ერთად.

გაზეთის ერთ-ერთ ნომერში რედაქციის უკლებლივ ყველა წევრის გამოსათხოვარი, მოსაგონარია დაბეჭდილი, ბატონი ანზორის პიროვნებისადმი განსაკუთრებული სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვებია ყოველივე და იმისი მახველები, თუ როგორი სიყვარული, სითბო და სიყვარული დატოვა მან ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ.

სამამალა შემოიღო განცხადება, ჩვენთან, რედაქციაში არ იგივეყებენ წასულ კოლეგებს, ბატონ ანზორსაც ხშირად, ძალზე ხშირად ვიგონებთ ხოლმე.

ერთხელ ჩვენი უმცროსი კოლეგა შოთაგო პაპავა ტელეფონით შემეხმანა, ქრისტეს აღდგომა მომილოცა და მითხრა, ლევან, ახლობლის საფლავზე ვიყავი, პანთეონში შევიარე, ისე ხშირად ასხენებთ ბატონ ანზორ გრიგოლიას სამსახურში, მის საფლავს ვერ ჩავეუარე და სანთელი დაუწითო. ხსოვნა გრძელდება, ხსოვნა ღირსეული კაცისა, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო, ქარვასლები არ უშენებია, სტკიოდა ქალაქში უმიზეზოდ მოჭრილი ყოველი ხე, სიმბოლურ ფასად გაყიდული ფაბრიკა-ქარხნებისა და იქ ერთ დროს დასაქმებულთა ხვედრს ისე აღიქვამდა, როგორც საკუთარ გასაჭირს, სატკივარს.

კაცურად, სუფთად, პატიოსნად იცხოვრა ღირსეულმა კაცმა, ისე, რომ არასოდეს მოჰყვითეს კბილს ბაბუას ნაჭამი ტყემალი მის შვილიშვილებს.

ამ დღეებში 85 წლისა გახდებოდა ბატონი ანზორ გრიგოლია. ნათელში იყოს!



რისი გამოაცხადა საუკეთესო ფოტოსურათების გამოსავლენად. ბატონმა ანზორმა ერთი ფოტო მიმეგნა: ღრუბლებში მიმალული მთვარე მალულადვე გვიცქერდა ფოტოდან. “ჩემი ეზოს ცა” – ასე დაუსათაურებია ავტორს სურათი. გავიდა ხანი და ბატონი ანზორი სამ პირველ ადგილზე გასულთაგან ერთ-ერთი გახლდათ. სიგელთან ერთად ფულადი ჯილდოც ერგო წილად.

ერთი შეხვედრით კუმტი და ცივი გეგონებოდათ, თუმცა, სრული უბრალოება, სისადავე იყო მისთვის დამახასიათებელი.

კარის საეკტი გაფუჭდებოდა, მინა ჩაიმსხვრეოდა, ონკანი დაზიანდებოდა, უმალ იქ განდებოდა და ყველაფერს მოაგვარებდა თავად, თავისივე იარაღებით.

გასული საუკუნის ბოლოს, ეკონომიურად რთულზე რთული ვითარება რომ იყო, სახელგამიდან წიგნის ინათხვრებდა, ქათქათა ქაღალდში გაახვევდა და მერე ისე უკან სახელგამს უბრუნებდა (ასე იქცეოდნენ მაშინ). დანახებით იტყოდა: ესაა საქმე? ხალხს წიგნის საყიდელი ფული არა აქვსო. ნუ გეშინია, პეტროვიჩ, 50 წელი მოვითმინოთ და “დაცივა ყორფელი”, – გაიხუმრებდა რომან ბეჟაია.

არავის ახსოვს სამსახურში დაგვიანებული ანზორ გრიგოლია, წე-

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია იუსუყება, რომ გარდაიცვალა **ზაალ ჭოსონელიძე** და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძობს დავით გიგინეიშვილს დედის, ქალბატონი **პოია გიგინეიშვილის** გარდაცვალების გამო.

მურად გელეიშვილი და ლევან გაბეჩავა ღრმა მწუხარებით იუსუყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ექიმი, ღირსეული ქალბატონი **ჟიჟი ბაჭრინაშვილი-ზნაბაძე** და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია იუსუყება, რომ გარდაიცვალა **ბრიგოლ (ბია) ბოჭორიშვილი** და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.



ანდრია  
წოფელია



ბარბარე  
ფირცხალაიშვილი

**სახელოებით  
დღესასწაულებს  
ბილოცავთ!**

**ლიანა ნიკოლეიშვილს!**

დაბადების დღეს გილოცავთ კარგ თანამშრომელს, მეგობარს, ერთგულ ადამიანს. მრავალი ბედნიერი, წარმატებით სავსე დღე გატეხებოდეს. გაიხარე შენს ოჯახთან, შენს თამუნასთან ერთად. მუდამ ღიმილიანი ყოფილიყავი.



*„სამბრაჟიოს მაცნე“*

სამტრედიაში, რუსთაველის №23-ში, პირველ სართულზე, გაიხსნა სილაშაშის სალონი „LENU“.

აქ გამოცდილი სტილისტები მოგემსახურებიან.  
ტელ.: 599 313 318



**კულოცავთ!**

**ბატონ აკაკი რუსაჟას!**

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს, ნიჭიერ პოეტს, ღირსეულ ქართველს პატივისცემით კულოცავთ დაბადების დღეს, გწვლობდეთ უფალი!

*„სამბრაჟიოს მაცნე“*

**ქალბატონ ნანა ფიცხვარიას!**

დაბადების დღეს გილოცავთ, გაგაძლიეროთ და დაგლოცოთ უფალმა თქვენ და თქვენი ოჯახი!

*„სამბრაჟიოს მაცნე“*

**ბატონ მერაბ ულალიძეს!**

გილოცავთ დაბადების დღეს. წარმატებებს გისურვებთ, პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იღვგრძელებთ!

*„სამბრაჟიოს მაცნე“*

**ლევან ბაგჩაძას!**

ჩვენი რაიონის ნიჭიერ ჟურნალისტს, წიგნისა და ბიბლიოთეკის ერთგულს, საბიბლიოთეკო ღონისძიებების აქტიურ მონაწილეს, ბატონ ლევან გაბეჩაძას კულოცავთ დაბადების დღეს კეთილი სურვილებით.

*ქუნიცხაჯაშვილის ბიბლიოთეკის თანამშრომლები*

რედაქციის მისამართი:  
სამბრაჟია, რუსთაველის ქ. №6  
ტელ: 790 391839



დირექტორი ბექან გოგია  
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაჭავაძე  
გამომშვები რედაქტორი თამაზ ბაგუნიანი  
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაგჩაძა  
კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძა